



ქუთაისის
უნივერსიტეტი

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის
ანგარიში

2019 წლის საანგარიშო
პერიოდი

შინაარსი

აღწერა	2
ზოგადი შეფასება	3
სამუშაო პროცესების შეფასება	3
მონიტორინგის შედეგების მიმოხილვა	4
სტრატეგიული მიმართულება 1.	4
მატერიალური რესურსის განვითარება	4
სტრატეგიული მიმართულება 2.	5
საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	5
სტრატეგიული მიმართულება 3.	7
სასწავლო პროცესისა და სამეცნირო კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა	7
სტრატეგიული მიმართულება 4.	9
მართვა და ადამიანური რესურსების განვითარება	9
სტრატეგიული მიმართულება 5.	10
სტუდენტთა მხარდაჭერა და სტუდენტური სერვისების განვითარება	10
სტრატეგიული მიმართულება 6.	13
უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და ბრენდის განვითარება	13
სტრატეგიული მიმართულება 7	15
ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება და მართვის პროცესში გამოყენება	15
დასკვნა:	19

აღწერა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის და მის შესაბამისად გაწერილი წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს 2019 წლის საანგარიშო პერიოდის მანძილზე.

მონიტორინგის მიზანია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით მოახდინოს სტრუქტურული ერთეულების მიერ სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანათა შესრულების შეფასება და ძირითადი მიგნებებიდან გამომდინარე რეკომენდაციების მომზადება.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად განსაზღვრული იყო შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

1. მატერიალური რესურსის განვითარება;
2. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება;
3. სასწავლო პროცესისა და სამეცნირო კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
4. მართვა და ადამიანური რესურსების განვითარება;
5. სტუდენტთა მხარდაჭერა და სტუდენტური სერვისების განვითარება;
6. უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და ბრენდის განვითარება;
7. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება და მართვის პროცესში გამოყენება

მონიტორინგის პერიოდში აღნიშნული მიმართულებებით სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული სამოქმედო გეგმის შესაბამისად ახდენდა ანგარიშების გამოგზავნას სტრატეგიული განვითარების, ინტერნაციონალიზაციის და კვლევების ხელშეწყობის სამსახურთან, სადაც უშუალოდ პასუხისმგებელი პირები ახდენდნენ მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების შესრულების შეფასებას, აღნიშნულის ვერიფიკატორების წარმოდგენას, ამოცანის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მიზეზების იდენტიფიცირებას.

ზოგადი შეფასება

2019 წლის სამოქმედო გეგმა დაეფუძნა უნივერსიტეტში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესებს, უნივერსიტეტის წინაშე დაისვა ახალი ამოცანები და გამოწვევების შესრულების საჭიროება და შესაბამისიდან მოხდა მთელი რიგი ცვლილების ორგანიზება, ამავე გეგმაში მოხდა ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებაც. განხორციელებული ცვლილებები:

- დამტკიცდა უნივერსიტეტის ახალი სამუშაო დოკუმენტაცია;
- შემუშავებულ იქნა უნივერსიტეტის ახალი სტრუქტურა;
- განხორციელდა ახალი კადრების მოზიდვა და მათთვის ინდივიდუალური სამუშაო აღწერილობების შექმნა;
- შემუშავდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგია და მექანიზმები;
- გათვალისწინებული იქნა სტუდენტების აქტიური ჩართულობა საუნივერსიტეტო პროცესებში;
- შემუშავდა უნივერსიტეტის ახალი სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკა.

აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის სტილის და განრიგის ცვლილება. ბუნებრივია საჭირო გახდა ცალკეული სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობის ზონაში მოქცეული აქტივობების მოდიფიცირება ახალი გამოწვევების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები (ფაკულტეტების ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ისევე, როგორც ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, სტრატეგიული განვითარების, ინტერნაციონალიზაციის და კვლევების ხეშეწყობის სამსახური საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოირჩეოდნენ სამუშაო პროცესში ჩართულობის მაღალი დონით. მათ შეძლეს, როგორც შესრულებული სამუშაოს უწყვეტობის, ისე - შესრულების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

სამუშაო პროცესების შეფასება

მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლოა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის გამოწვევად რჩება ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, უნივერსიტეტის ბრენდის ცნობადობის გაზრდა, უნივერსიტეტში სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების და სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, ასევე უნივერსიტეტის შიდა და გარე ინფრასტრუქტურის გაახლება, აღნიშნული მიმართულებები საჭიროებს გაძლიერებას.

მონიტორინგის შედეგების მიმოხილვა

სტრატეგიული მიმართულება 1.

მატერიალური რესურსის განვითარება

ამოცანა 1. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მათი სტანდარტების შესაბამისად მოწყობა.

- სასწავლო აუდიტორიების და ფაკულტეტის დეპარტამენტების ოფისების კეთილმოწყობა, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა
 - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასწავლო აუდიტორიები აღიჭურვა საოფისე ავეჯით და კომპიუტერული ტექნიკით ასევე სასწავლო თეთრი დაფებით, პროექტორებით და კონდიციონერებით. მოეწყო ფაკულტეტის დეპარტამენტები.
- უნივერსიტეტში საგამოცდო ცენტრის კეთილმოწყობა და საჭირო ტექნიკით აღჭურვა
 - საანგარიშო პერიოდში მოეწყო ორი საგამოცდო კომპიუტერული ლაბორატორია 60 ერთეული კომპიუტერით.
- ქრეალების სივრცის გაზრდა და კეთილმოწყობა
 - მოეწყო ქრეალების სივრცე ყველა საჭირო მასალებით და აღიჭურვა 3D პრინტერით. ასევე შეძენილ იქნა სწავლის პროცესისათვის საჭირო ყველა საჭირო ინვენტარი.
- მედიცინის ფაკულტეტისათვის ინფრასტრუქტურის (ლაბორატორიების და ოსკის სადგურების) შექმნა
 - საანგარიშო პერიოდში მოეწყო ორი სასწავლო ლაბორატორია და ოსკის საგამოცდო ოთახები აღჭურვილ იქნა ყველა საჭირო ლაბორატორიის ინვენტარით და მულაჟებით.
- უნივერსიტეტის შიდა და გარე ტერიტორიაზე უსადენო ინტერნეტ-ქსელის (Wi-Fi) შექმნა.
 - საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის შიდა და გარე ტერიტორიაზე მოხდა უსადენო ინტერნეტ-ქსელი (Wi-Fi) დაყენება.
- კომპიუტერული ცენტრების (ლაბორატორიების) გადაიარაღება თანამედროვე სტანდარტების კომპიუტერული ტექნიკით.
 - საანგარიშო პერიოდში გადაიარაღდა და ახალი ტექნიკით აღიჭურვა კომპიუტერული ცენტრები (ლაბორატორიები) ასევე მოხდა ცენტრების უსაფრთხოების სისტემებით უზრუნველყოფა.

ამოცანა 2 საბიბლიოთეკო რესურსის განვითარება

- ბიბლიოთეკის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა
 - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაიწყო ბიბლიოთეკი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა, რომელიც გაგრძელდა 2020 წელს.
- საბიბლიოთეკო ფონდების განვითარება, მათ შორის ინგლისურენოვანი უახლესი სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურით
 - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქუთაისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ შეიძინა სხვადასხვა თემატიკის ინგლისურენოვანი სამედიცინო ლიტერატურა, ეტაპობრივად მოხდა მათი ინვენტარიზაცია, კატალოგიზაცია, ფიზიკური და ელექტრონული დამუშავება
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაყრდნობით ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზის განვითარება
 - საანგარიშო პერიოდში განახლდა ხელშეკრულება საბიბლიოთეკო კონსორციუმთან, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომის მოპოვების გარდა თავის თავში მოიაზრებს და გულისხმობს ქვეყნის მამტაბით მოქმედ ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობას საბიბლიოთეკო დოკუმენტთა გაზიარებასა და ა.შ.
- საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის გაფართოვება
 - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ხელი მოეწერა „Riserch4life“ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზების წარმომადგენლებთან ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტს აქვს წვდომა აღნიშნული პროგრამის ბაზებთან, გარდა აღნიშნულისა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა შემდეგ ელ.სამეცნიერო ბაზებთან: HINARI, AGORA, OARE, ARDI, და GOAL.
- ელექტრონულ ბაზებზე ტრენინგის ჩატარება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის
 - ჩატარდა ტრენინგი ელექტრონულ სამეცნიერო ბაზების გამოყენების მეთოდთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისათვის.
 - ჩატარდა ტრენინგი სამართლის პროგრამის აკადემიურ პერსონალთან სამეცნიერო ბაზების გამოყენების მეთოდთან დაკავშირებით.
 - ჩატარდა 2 ტრენინგი ელექტრონულ სამეცნიერო ბაზების გამოყენების მეთოდთან დაკავშირებით უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

სტრატეგიული მიმართულება 2.

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

ამოცანა 1. არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მათში ცვლილებების შეტანის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შეფასება, განახლება და დანერგვა.
 - საანგარიშო პერიოდში შეიქმნა უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, რომლის მიზანია ახალი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების პროცესების განხორციელების გზების, ვადებისა და ძირითადი პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა.
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო და საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული მეთოდოლოგიისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შეფასება, განახლება და განათლების ხარისხის გავითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციოდ წარდგენა.
 - პროგრამები განახლდა და წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აკრედიტაციისთვის.
- ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული მეთოდოლოგიის, ავტორიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად შეფასება და განვითარება.
 - საანგარიშო პროცესში ვერ მოესწრო ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული მეთოდოლოგიის, ავტორიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად შეფასება, პროცესი მიმდინარეობს და დასრულდება შემდეგ საანგარიშო წელს.
- ეკონომიკის საბაკალავრო და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამების განახლებული მეთოდოლოგიის და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შეფასება და განვითარება.
 - საანგარიშო პერიოდში მოხდა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განახლება, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის განახლება არ დასრულებულა და გადაიწია შემდეგი საანგარიშო წლისთვის.

ამოცანა 2. ახალი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განვითარება -

- შრომის ბაზრის კვლევის შესაბამისად სამართლის საბაკალავრო პროგრამის შემუშავება და სააკრედიტაციოდ წარდგენა;
 - საანგარიშო პერიოდში მოხდა შრომის ბაზრის კვლევის შესაბამისად სამართლის საბაკალავრო პროგრამის შემუშავება და სააკრედიტაციოდ წარდგენა.
- შრომის ბაზრის კვლევის შესაბამისად საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის შემუშავება.
 - საანგარიშო პერიოდში არ შესრულდა საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის შემუშავება, რადგან მოხდა გადაწყვეტილების მიღება

პროგრამის შემუშავების და სააკრედიტაციოთ წარდგენის განაცხადის ვადები შეცვლის შესახებ.

- შრომის ბაზრის კვლევის შესაბამისად შემუშავება და სააკრედიტაციოდ წარდგენა.
 - საანგარიშო პერიოდში შრომის ბაზრის კვლევის შესაბამისად მოხდა ინგლისურენოვანი დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენა.

სტრატეგიული მიმართულება 3.

სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

ამოცანა 1. სასწავლო პროცესის გაუმჯობესება

- პლაგიატის ამომცნობი პროგრამის დანერგვა და შეფასების პროცესში ფართო გამოყენების უზრუნველყოფა
 - საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში დაინერგა strikeplagiarism.com ანტიპლაგიატის სისტემა, რომელიც ახდენს ტექსტური დოკუმენტების ავთენტურობის დადგენას. სისტემის ამოცანას წარმოადგენს: მოიძიოს და მოახდინოს სხვა წყაროდან ამოღებული ინფორმაციის იდენტიფიცირება. ხელი შეუწყოს ტექსტის შეფასებას, მიუთითოს მათი მდებარეობა და ა.შ
 - შექმნილია შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პლაგიატის დებულეზა, რომელიც განსაზღვრავს პლაგიატზე შემოწმების წესს, პროცედურებს და ა.შ შეიქმნა ქუთაისის უნივერსიტეტის პლაგიატის მონაცემთა ბაზა.
 - საანგარიშო პერიოდში განმავლობაში სისტემაში გატარდა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები. (139 ერთეული)
- საჯარო და კერძო დაწესებულებებთან დადებული მემორანდუმების რაოდენობის ზრდა და არსებულის შენარჩუნება.
 - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ეკონომიკის მიმართულებით გაფორმდა 13 ახალი მემორანდუმი, სამართლის მიმართულებით 9 ახალი მემორანდუმი, და მედიცინის მიმართულებით 9 ახალი მემორანდუმი.

ამოცანა 2. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარება

- რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“ განვითარება.
 - ბეჭდური და ელექტრონული ფორმით, აღიარებულ ბაზებში განთავსებული ჟურნალების შესაბამისი მოთხოვნებით, გამოიცა ჟურნალ „ეკონომიკური

პროფილის“ მე-19 ნომერი. მასში განთავსდა 5 ინგლისურენოვანი სტატია, შეიცვალა რედკოლეგია: მათ შორის 8 წევრი საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტებიდანაა. ჟურნალი განთავსდა ვებგვერდზე. შეიცვალა ჟურნალის ელექტრონული ვერსიის დიზაინი.

- აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობისა და წახალისების სისტემის ჩამოყალიბება;
 - სამეცნიერო სტატიების მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების ხელშეწყობის და წახალისების მიზნით უნივერსიტეტის აფილირებულ პროფესორებმა მიიღეს ერთჯერადი შიდა საუნივერსიტეტო გრანტი 1000 ლარის ოდენობით, გრანტით ისარგებლა და 6 ინგლისურენოვანი სტატია (ავტორობით და თანაავტორობით) გამოაქვეყნა შემდეგმა აფილირებულმა პერსონალმა: პროფესორებმა ნ.ჩიხლაძემ, ლ.ელიავამ, ასოცირებულმა პროფესორებმა: მ.ხიდაშელმა, თ.გრიგოლაშვილმა დ.ჩხიროძემ და ე.ვაწაძემ.
 - საანგარიშო პერიოდში მოხდა სამეცნიერო ჟურნალ ეკონომიკურ პროფილში დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება. (ორი დოქტორანტი მარლხაზ ძაძუა და ზაზა ფარსენაძე)
- აკადემიური პერსონალისთვის შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო სისტემის დანერგვა
 - მიღებულია “სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოლიტიკისა და პროცედურების” დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტში შიდა გრანტების გაცემის წესს.
 - საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა შიდა გრანტის გამოცხადების კონკურსი.

ამოცანა 3. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება სწავლა-სწავლებისა და კვლევის მიმართულებით

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაზრდა
 - საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ჩაუტარდა ინგლისური ენის ცოდნის დონის ასამაღლებელი სასწავლო კურსები. ლექციები ტარდებოდა კვირაში ორჯერ ოთხი თვის განმავლობაში.
- საერთაშორისო მემორანდუმების რაოდენობის გაზრდა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობა
 - საანგარიშო პერიოდში გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი 4 უნივერსიტეტთან :
 - დაბლიუ ეს ბი უნივერსიტეტი (პოლონეთი)
 - სინციანის უნივერსიტეტი (ჩინეთი)
 - დიმიტრი კანტემირის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
 - ვალენსიის კულინარიული ცენტრი (ესპანეთი)

- განახლდა მანდატები და ხელახლა გადაიგზავნა დაფინანსებაზე ერაზმუსის 4 პროექტი, რომელშიც პარტნიორების სტატუსი გვაქვს.
- საანგარიშო პერიოდში გაცვლითი პროგრამით არ უსარგებლიათ უნივერსიტეტის სტუდენტებს.
- უნივერსიტეტის სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალ - „ეკონომიკური პროფილის“ საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში რეიტინგის გაზრდისაკენ მიმართული საქმიანობების განხორციელება.
 - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაიწყო მოლაპარაკებები რამოდენიმე საერთაშორისო ბაზების წარმომადგენლობასთან სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალ - „ეკონომიკური პროფილის“ საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში რეიტინგის გაზრდის შესახებ, აღნიშნული მოლაპარაკებები მიმდინარეობს და დასრულდება მომდევნო წელს.

სტრატეგიული მიმართულება 4.

მართვა და ადამიანური რესურსების განვითარება

ამოცანა 1. ორგანიზაციის მართვა, ადამიანური რესურსის მოზიდვა/შეფასება/განვითარება

- ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილება
 - შეიქმნა და დამტკიცდა ორგანიზაციის სტრუქტურა.
- ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა
 - საანგარიშო პერიოდში დაინერგა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა (e-flow), მიმდინარეობდა სისტემის სრულყოფილად მუშაობისთვის სხვადასხვა ღონისძიებების შესრულება, რომელიც ბოლომდე ვერ მოესწრო და დაგეგმილია მისი დასრულება შემდგომ საანგარიშო წელს.
- აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების განახლებული სისტემის დანერგვა
 - საანგარიშო პერიოდში შემუშავებულ იქნა “ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და მასწავლებელთა პერსონალის შეფასების პროცედურა”, რომლის მიხედვითაც ყოველი აკადემიური წლის დასასრულს აკადემიური, მოწვეული და მასწავლებელთა პერსონალი წარადგენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებში მის მიერ შექმნილ/დაწერილ/განხორციელებულ ნაშრომებსა და პროექტებს კვლევითი პროექტების მენეჯერთან, რომელიც აფასებს მათ და რეკომენდაციებს აწვდის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს მათ საბოლოო შეფასებებში გამოსაყენებლად.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევით საქმიანობის შეფასებას ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტად აღიარებს და ანიჭებს 55%-ს (მასწავლებელთა და მოწვეული პროფესორ-მასწავლებელთა შემთხვევაში 25%). სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი თავის მხრივ წარმოადგენს 160

ქულიან საქმიანობათა პაკეტს თუმცა მათგან მაქსიმუმ 100 ქულის ათვისება შეუძლიათ, რაც გულისხმობს, რომ პერსონალი არსებული ჩამონათვლიდან 100 ქულაზე მეტის დაგროვების შემთხვევაშიც კი კომპონენტზე მინიჭებული მაქსიმუმი 100 ქულით შეფასდება. ასევე შესაძლებელია ერთი ელემენტის ორჯერ, სამჯერ ან მეტჯერ შესრულების შემთხვევაში გაორმაგებული, გასამმაგებული და ა.შ. შესაბამისი ქულა მიიღოს. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სატესტო რეჟიმში აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ანალიზი და შეფასება.

- რაც შეეხება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების განახლებული სისტემის დანერგვას ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში არ გაკეთებულა შესაბამისი აქტივობები და დაიგეგმა მომდევნო წელს.
- ადმინისტრაციული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაძლიერებაზე მიმართული სასწავლო კურსის განხორციელება
 - საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, დამხმარე და აკადემიური თანამდებობის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ინგლისური ენის ცოდნის დონის ასამაღლებელი სასწავლო კურსები. ლექციები ტარდებოდა კვირაში ორჯერ ოთხი თვის განმავლობაში.
- საერთაშორისო გამოცდილების მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის მოზიდვა
 - საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა საერთაშორისო გამოცდილების მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის მოზიდვა
- აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების/პროფესიული საჭიროებების შეფასების განახლებული წესის შემუშავება და დანერგვა
 - საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების/პროფესიული საჭიროებების შეფასების განახლებული წესის შემუშავება

სტრატეგიული მიმართულება 5.

სტუდენტთა მხარდაჭერა და სტუდენტური სერვისების განვითარება

ამოცანა 1. სტუდენტთა მხარდაჭერა

- სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის გამჭვირვალე სისტემის შემუშავება.
 - საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა მხოლოდ ინდივიდუალური გადაწყვეტილება ფინანსური დავალიანების

გამო სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს, რომლებიც უნივერსიტეტს წერილობით მიმართავდნენ სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით ჩამოეწერებოდათ ფინანსური დავალიანება და სწავლის გაგრძელების შემთხვევაში საფასური გაუნახვერდებოდათ. აღნიშნული აქციის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ყველა სტატუს შეჩერებულ სტუდენტს. კერძოდ, მათთან ფოსტით გაიგზავნა წერილები უნივერსიტეტის ბაზაში დაფიქსირებულ მისამართებზე, ასევე მოხდა მათთან ინდივიდუალური სატელეფონო კომუნიკაცია. დაკავშირება ვერ მოხერხდა მხოლოდ 77 სტატუსშეჩერებულთან. მიცემული შესაძლებლობით კი ისარგებლა და სტატუსი აღიდგინა 33-მა სტუდენტმა.

- სტუდენტებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების გაცნობის მიზნით
 - საანგარიშო პერიოდში რექტორის ორგანიზებით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან სადაც მოხდა უნივერსიტეტის სიახლეების და მოქმედი რეგულაციების გაცნობა. შეხვედრა მიმდინარეობდა კითხვა პასუხის ფორმატში, სტუდენტებს საშუალება ქონდათ გაცნობოდნენ უნივერსიტეტის სამსახურების თანამშრომლებს და მათ სამსახურეობრივ მოვალეობებს.
- სტიპენდიის გამჭვირავლე კრიტერიუმების შემუშავება.
 - საანგარიშო პერიოდში მოხდა უნივერსიტეტის დებულების შემუშავება და დამტკიცება, რომელიც აწესრიგებს სტიპენდიის გამჭვირავლე კრიტერიუმების საკითხებს.

ამოცანა 2. სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა

- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მიმართული ტრენინგ კურსების საჭიროების კვლევების ჩატარება;
 - საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტების კმაყოფილების კვლევა, კვლევის მიზანი იყო სტუდენტების სასწავლო პროგრამით კმაყოფილების დონის დადგენა მრავალასპექტიან ჭრილში და ხარვეზების გამოვლენა; სტუდენტთა მიერ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციით კმაყოფილების განსაზღვრა; სტუდენტური სერვისებში არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირება; სტუდენტთა მიერ მატერიალური რესურსების შეფასება და არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება; ახალი სერვისების საჭიროებების გამოვლენა.
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის ტრენინგების განხორციელება
 - საანგარიშო პერიოდში სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ჩაუტარდათ სხვადასხვა ტრენინგები, კერძოდ: მასტერკლასი თემაზე „გასაუბრების

ტექნიკები და CV შედგენა“, ინსპირაციული ვორქშოფი - „ლიდერობა და მეწარმეობა“, ვორქშოპი თემაზე „სამუშაოს ძებნის ტექნიკები და პროფესიონალი ორიენტაცია“, ტრენინგი „წარმატებული კარიერის დაგეგმვა“

- კარიერული კონსულტანტის/ფსიქოლოგის მომსახურების შეთავაზება
 - საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში შეიქმნა ფსიქოლოგის ახალი შტატი. უნივერსიტეტში რეგულარად ტარდებოდა სტუდენტებისთვის ფსიქოლოგიურ კონსულტაციები.
 - ფსიქოგანთლების კუთხით, ყოველთვიურად ხორციელდებოდა სატრენინგო ფორმატის არაფორმალური შეხვედრები, სტუდენტები კვალიფიციურ დონეზე იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური ფსიქო-ემოციურ-ქცევითი და სოციალური საკითხების ირგვლივ, რაც ერთგვარ განმაპირობებელს წარმოადგენს, მათი ჯანსაღი ადაპტირების მექანიზმის გამომუშავების, მოქნილი ქცევის პატერნების სტუქტურირებისა და სრულფასოვანი ფსიქოსოციალური ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის.
- კურსდამთავრებულთა ქსელის განვითარება და მათი ჩართვა უნივერსიტეტის საქმიანობაში.
 - საანგარიშო პერიოდში მოხდა კურსდამთავრებულთა ბაზების გაახლება, კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნა დაიგეგმა მომდევნო წლისთვის.
 - უნივერსიტეტში ჩატარდა შეხვედრა კურსდამთავრებულებთან რომლებმაც გაუზიარეს გამოცდილება არსებულ სტუდენტებს ზოგადი და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შესახებ. კურსდამთავრებულებმა აქცენტები გააკეთეს გაცვლითი პროგრამების მნიშვნელობასა და მასში მონაწილეობის აუცილებლობაზე.
 - საანგარიშო პერიოდში მოხდა კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლებთან შეხვედრები სადაც განხილულ იქნა უნივერსიტეტის სააკრედიტაციოთ გასატანი მიმდინარე პროგრამები,

ამოცანა 3. სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა

- სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მხარდაჭერა.
 - საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო;
 - „ველქამ ფართი“ და წვეულება პირველ კურსელთათვის.
 - სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა სოციალური აქტივობა დასუფთავების და გამწვანების აქცია, აქციის ფარგლებში სტუდენტების მიერ დაირგო ხეები.
 - სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით მოეწყო 2 დღიანი ლაშქრობა რაჭაში;
 - სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით და ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართულობით ჩატარდა ჰაუს ფართი;
 - სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ბაკურიანში გაიმართა ორ დღიანი ტური სადაც შეჯამებული იქნა სტუდენტური თვითმმართველობის

მიერ განხორციელებული ღონისძიებები და შემუშავდა მომდევნო წლის გეგმები.

- საუნივერსიტეტო სპორტული კლუბებისა და გუნდების განვითარების ხელშეწყობა
 - საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მან-სან-კანის შიდა საუნივერსიტეტო ჩემპიონატი.
 - საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია შემდეგი სპორტული ღონისძიებები: შიდა ჩემპიონატი კალათბურთში, ფრენბურთში და ფუტზალში.

სტრატეგიული მიმართულება 6.

უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და ბრენდის განვითარება

ამოცანა 1. . სამიზნე აუდიტორიასთან პირდაპირი კომუნიკაციის დონის გაუმჯობესება და შემდგომი განვითარება - აღნიშნული მიმართულება მოიცავდა შემდეგ ღონისძიებებს:

- უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება: ვებგვერდის მუდმივი განახლება, ორენოვანი ინფორმაციის განთავსება, უნივერსიტეტის პროგრამების პოპულარიზაცია, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პერსონალის ისტორიების წარმოჩენა, ფეისბუქ გვერდის პოპულარიზაცია, ონლაინ მედიაში ინფორმაციის გავრცელება.
 - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა სოციალური საკომუნიკაციო არხების (facebook, Instagram, Linkdin, Seo და უნივერსიტეტის ვებგვერდის შექმნა და განვითარება;
 - განხორციელდა სხვადასხვა სამიზნე სეგმენტზე მორგებული და მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით საინფორმაციო კამპანიები.
 - საანგარიშო პერიოდში განხორციელდა უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ ვიზიტები იმერეთის და სამეგრელოს რეგიონებში, ასევე ქუთაისის ყველა საჯარო და კერძო სკოლაში, სადაც სკოლის დამამთავრებელ მოსწავლეებს უტარდებოდათ უნივერსიტეტის გაცნობითი პრეზენტაციები;
 - საანგარიშო პერიოდში შოთა რუსთაველის ფონდის ორგანიზებით ქუთაისის უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა მეცნიერების და ინოვაციების ფესტივალში, უნივერსიტეტმა წარმოადგინა, რობოტიკის სკოლის მოსწავლეების მიერ დამზადებული პროექტები, VR ლაბორატორია, 3D პრინტერი და კალამი და ა.შ დამზადდა ვიდეო რგოლი.
- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში წელიწადში სულ მცირე 1 უფასო ტრენინგის/მასტერკლასის ჩატარება სამიზნე აუდიტორიისთვის

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგი:

- „წარმატებული კარიერის დაგეგმვა“
 - სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში 220 სტუდენტს დაეგზავნა წერილები, სადაც ეცნობათ რომ ჩამოეწერათ ყველა დავალიანება და სწავლის გაგრძელების შემთხვევაში განახევრებული საფასურით ისარგებლებდნენ.
 - უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, კერძოდ:
 - განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის ქუთაისის შშმ ბავშვთა დღის ცენტრ „ჯადოსნურ სამყაროს“ ბენეფიციარებთან სტუდენტების შეხვედრა და საჩუქრების გადაცემა.
 - „წყალწითელას მოხუცთა თავშესაფრის“ ბენეფიციარებთან სტუდენტების სტუმრობა და საჩუქრების გადაცემა.
- აბიტურიენტების მოსაზიდად შეთავაზებების პაკეტის მომზადება
 - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აბიტურიენტების მხარდასაჭერად სმს კომპანიის განხორციელება (აბიტურიენტებს პირად ნომრებზე დაეგზავნათ რჩევები, რეკომენდაციები და საგამოცდო პროცესების შესახებ ინფორმაცია, მონაცემების აღება მოხდა murtsku.ge დან).
 - ბიზნეს სკოლა -სკოლის მოსწავლეებისათვის
 - პროექტის განმავლობაში შერჩეულმა სკოლის მოსწავლეებმა გაიარეს მოკლე კურსები, რომლებსაც უძღვებოდნენ უნივერსიტეტის ლექტორები, ფინალურ ეტაპზე გადასული მონაწილეები შემთხვევითობის პრინციპით აირჩიეს ბიზნესები, რომელთა ქეისებზეც მუშაობდნენ, პროექტის თითოეულ ეტაპზე დამზადდა სიუჟეტები და ვიდეო რგოლები.
 - საჯარო ლექციები ციკლი - UNIK TALK
მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის მიერ განხორციელდა საჯარო ლექციების ციკლი UNIK TALK სადაც სხვადასხვა სპიკერები ატარებდნენ ლექციებს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და უნივერსიტეტის გარეთ ყველა დაინტერესებული პირებისთვის, წლის განმავლობაში ჩატარდა შემდეგი ლექციები:
 - ანდრო დგებუაძე - „ინოვაციების მართვა“
 - კოტე იანტბელიძე - „კრეატიული აზროვნება და იდეების გენერირება“
 - მირზა ხიდაშელი - „თავისუფალი ბაზრის სამსჯავრო“
 - გიორგი ედიბერიძე - „გზა რიგითი მომხსახურე პერსონალიდან დირექტორობამდე“
 - ტორესა მოსი - „თავისუფლება, როგორც გზა წარმატებისკენ“
 - კახაბერ აბჟანდაზე - „ბიზნესის დაწყებისა და განვითარების საკითხების შესახებ“
 - მარიამ მჭედლიძე - „ინდოეთი, კონტრასტების ქვეყანა“

- ნინო ქარსელაძე - „მავნე დამოკიდებულებები და არჩევანის თავისუფლება“
- საჯარო ლექციების ციკლი - „სიძულვილის ენის დილემა: გადის ზღვარი აკრძალულ და დაცულ გამოხატვას შორის?“
- ARDUINO - რობოტიკის სკოლა
 - განხორციელდა ARDUINO საზაფხულო სკოლა სკოლის მოსწავლეებისათვის, პროექტის ფარგლებში განხორციელდა რობოტიკის სკოლის მონაწილეების მზის პანელების საწარმოში ვიზიტი, პროექტის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა შექმნეს სხვადასხვა პროექტები, რომელთა პრეზენტაცია მოხდა, როგორც უნივერსიტეტში ასევე შოთა რუსთაველის ფონდის მიერ 2019 წელს ორგანიზებულ მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალზე.

სტრატეგიული მიმართულება 7

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება და მართვის პროცესში გამოყენება

ამოცანა 1. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება - აღნიშნული მიმართულება მოიცავდა შემდეგ ღონისძიებებს:

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტისა და დებულების განახლება:
 - საანგარიშო პერიოდში მოხდა ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურისა და საქმიანობის შეფასება, შეფასების შედეგების შესაბამისად სამსახურმა შეიმუშავა ხარისხის კონცეფციისა და პოლიტიკის სახელმძღვანელო. რომლის მიზანია უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის განვითარება, ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესების წარმატებით გავლა, უნივერსიტეტის ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრირება და სტუდენტების ჩართულობის გაზრდა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში.
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასებაზე დაფუძნებული მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა უზრუნველყოფის კუთხით სისტემატურად ახდენდა კვლევების შემუშავებასა და მათ გამოყენებას, რაც ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა ხარისხის შიდა კვლევების პროცედურების სახელმძღვანელო, სადაც დეტალურად გაიწერა ყველა პროცედურა, საკვლევი თემის

იდენტიფიცირებიდან დაწყებული საკვლევი აუდიტორიისთვის უკუკავშირის დაბრუნებით დასრულებული.

ხარისხის შიდა კვლევები ორიენტირებულია დაადგინოს თითოეული დაინტერესებული მხარის დამოკიდებულება საკვლევი თემების მიმართ, გამოავლინოს ხარვეზები და დასახოს გაუმჯობესების გზები. განსახილველი საკითხები განსხვავდება კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა მოიცავს შემდეგ თემებს:

საგანმანათლებლო პროგრამა;

ინტერნაციონალიზაცია;

სტუდენტური სერვისები;

დატვირთვის სქემა;

კოლეგიალური ურთიერთდასწრება;

ადმინისტრაციული საქმიანობა;

მატერიალური რესურსები;

უნივერსიტეტში მიღებული კომპეტენციები.

- საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სასწავლო კურსებისა და ლექტორების, პროფესიული პრაქტიკის, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კვლევები. აღნიშნული კვლევების ფარგლებში შეფასდა თითოეული სასწავლო კურსი და ლექტორი, გარდა ამისა ჩატარდა შემდეგი კვლევები და გამოკითხვები:

სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;

აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა;

თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა;

მობილობით გადმოსული და გადასული სტუდენტების გამოკითხვა;

სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა გამოკითხვა;

კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;

დამსაქმებელთა გამოკითხვა;

პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვა;

სტუდენტთა მიერ საგამოცდო ცენტრის შეფასება;

პირველკურსელ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა.

- საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური განხორციელების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრებისა და კონსულტირების სისტემის შემუშავება და დანერგვა.

- ზემოთ აღნიშნული მიზნების რეალიზებისთვის მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირებისა და განვითარებისთვის საჭირო შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, ურთიერთდასწრების პოლიტიკა; საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება.

- აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენისა და განხილვის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა სამუშაო შეხვედრები უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასებას, რაც გულისხმობს დარგის სპეციალისტების (როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო მასშტაბით) მიერ პროგრამის განხილვასა და რეკომენდაციების გაცემას. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს გარე ექსპერტიზა გაუწიეს როგორც ქართველმა, ასევე მასტრიხტისა და ჩრდილოეთ ოკაიოს ემერეტუს პროფესორებმა.
- არსებული საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის მიზნით კი 2019 წელს დაინერგა ურთიერთდასწრების პროცედურა, მომელიც მიზნად ისახავს სწავლებ-სწავლის ხარისხის განვითარებასა და კოლეგათა შორს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

ამოცანა 2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენება მართვაში -აღნიშნული მიმართულება მოიცავდა შემდეგ ღონისძიებებს:

- **სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა და შედეგების მართვის პროცესში გამოყენება.**
 - 2019 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა, კერძოდ:
 - სტუდენტთა კვლევის მიზანი იყო ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტების კმაყოფილების ხარისხის შეფასება, შემდეგი საკითხების გათვალისწინებით: უნივერსიტეტის მიმართ სტუდენტთა განწყობის იდენტიფიცირება; სასწავლო პროგრამით კმაყოფილების დონის დადგენა მრავალასპექტიან ჭრილში და ხარვეზების გამოვლენა; სტუდენტთა მიერ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციით კმაყოფილების განსაზღვრა; სტუდენტური სერვისებში არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირება; სტუდენტთა მიერ მატერიალური რესურსების შეფასება და არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება; ახალი სერვისების საჭიროებების გამოვლენა.
 - აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზანს წარმოადგენს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ საუნივერსიტეტო საქმიანობით კმაყოფილების შეფასება შემდეგი საგულისხმო საკითხების გათვალისწინებით:

დატვირთვის სქემის შესახებ აკადემიური პერსონალის დამოკიდებულების განსაზღვრა და შენიშვნების გამოვლენა;
ადმინისტრაციულ საქმიანობაში არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირება;
კოლეგიალური ურთიერთდასწრების სიხშირის განსაზღვრა და მის შესახებ აკადემიური პერსონალის დამოკიდებულების გამოვლენა;
აკადემიური პერსონალის მიერ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციით კმაყოფილების განსაზღვრა;
სასწავლო პროგრამით კმაყოფილების დონის დადგენა მრავალსპექტიან ჭრილში და ხარვეზების გამოვლენა;
მატერიალური რესურსების შეფასება და არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება;
ახალი სერვისების საჭიროებების გამოვლენა.

- თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა კვლევის მიზანი იყო ქუთაისის უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ საუნივერსიტეტო საქმიანობით კმაყოფილების შეფასება, კერძოდ:
 - ადმინისტრაციულ საქმიანობაში არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირება;
 - თანამშრომელთა მიერ მატერიალური რესურსების შეფასება და არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება;
 - ახალი სერვისების საჭიროებების გამოვლენა.

აღსანიშნავია, რომ მოხდა კვლევის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხების იდენტიფიცირება და დაისახა კვლევების საფუძველზე შემდგომი ნაბიჯების რეალიზება

- **მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა;**

- 2019 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემის შემუშავების ინიცირება, აღნიშნული მექანიზმი რომელიც მიზანად ისახავს სწავლა/სწავლების, კვლევის და მართვის პროცესების პერიოდული შეფასების მუდმივი გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფას, ამავდროულად ინფორმაციის დროული მოძიებასა და რეკომენდაციების შეთავაზებას სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა კონკრეტული ამოცანების შესრულების სტატუსი წარედგინა რექტორს.

დასკვნა:

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შესაძლოა დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტმა მიუხედავად არსებული ახალი ამოცანების, გამოწვევებისა და ახალი საკადრო პოლიტიკის გათვალისწინებით შეძლო მდგრადობის შენარჩუნება და ცალკეული მიმართულებებით მიაღწია წარმატებას.

ოთხი კვარტლის მონიტორინგის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა მეტნაკლებით წარმატებით გაართვეს თავი დასახული ამოცანების შესრულებას. სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანათა დიდი ნაწილი შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო შეუსრულებელ ნაწილზე მუშაობა გაგრძელდება 2020 წელს.

უნივერსიტეტის ძირითად გამოწვევად რჩება ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და იმპლემენტაცია, სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, სწავლაზე ორიენტირებული სტუდენტების მოზიდვა, ახალი საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების დანერგვა, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და ინტერნაციონალიზაცია, ერთობლივი პროექტების განხორციელება.

აღსანიშნავია 2019 წელს უნივერსიტეტში დაიწყო მთელი რიგი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, ნაწილობრივ დასრულდა სამედიცინო ლაბორატორიების და კაბინეტების აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით, კეთილმოეწყო აუდიტორიები და ადმინისტრაციის თანამშრომლების ოთახები, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისთვის შეძენილ იქნა ახალი სახელმძღვანელოები, კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა და განთავსება შესაბამის სივრცეებში და ა.შ.

ანგარიშიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა უნივერსიტეტში გაძლიერდეს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მხრიდან შემდეგი ღონისძიებების განვითარება :

- ახალი პროგრამების შემუშავება და აკრედიტაციაზე წარდგენა;
- შიდა საგრანტო სამეცნიერო კვლევითი სისტემის გაუმჯობესება;
- სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის სტიმულირება;
- საერთაშორისო გაცვლითი პროექტების შექმნა და განვითარება;
- უნივერსიტეტის ბრენდის ცნობადობის გაზრდის წინადადებების შემუშავება;
- სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწა.